საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/39-2007 „9" აგვისტოს 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი

ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 იანვრის №78 ბრძანებულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 27 დეკემბრის №1/119-2006 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2007 წლის 1 თებერვლიდან, –

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე სიმონ ჩხაიძეს ქუთაისში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ვაშაყმაძეს ბათუმში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 200 ლარი.

3. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ ოჩამჩირის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ამრიდო გელანტიას ზუგდიდში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 150 ლარი.

4. გორის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით მგელიაშვილს გორში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 150 ლარი.

5. ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან მეშველიანს ზესტაფონში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 150 ლარი.

6. წალკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ირაკლი გიგინეიშვილს, დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილს, ქობულეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ვერა დოლიძეს, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე თეიმურაზ მუხრანელს, დმანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით ლონგურაშვილს და მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს დუშეთის რაიონში თეიმურაზ ჯერვალიძეს, რომელთაც შესაბამის ქალაქში ან რაიონში არ აქვთ საცხოვრებელი ბინა საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 100 ლარი.

7. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის ქირის გაცემა.

8. გადაწყვეტილებაში მითითებულმა მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

ვალერი ცერცვაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი